ერიკ ბლაიტონი

საიდუმლო შვილები

შვიდეულის ახალი თავგადასავალი

ინგლისურიდან თარგმნა
გიორგი რობაქიძემ

სულაკაურის
გამომცემლობა

შინაარსი

თავი პირველი საიდუმლო შვიდეულის კოდი 5

თავი მეორე ინდიელების ნაშუადღევი 10

თავი მესამე გაფითრებული კოღინი 16

თავი მეოთხე თავგადასავალი გველოდება? 21

თავი მეხუთე მნიშვნელოვანი კოდი 26

თავი მეექვსე უჩვეულო აღმოჩენები 31

თავი მეშვიდე ელვა ნივთმტკიცებას პოულობს 36

თავი მერვე ციხეში სტუმრობა 41

თავი მეცხრე ეჭვმიტანილი და იმედგაცრუება 46

თავი მეათე აკრობატი ბრინკუელო 52

თავი მეთერთმეტე პემის აღმოჩენა 57

თავი მეთორმეტე ცაღფეხა უილიამი 63

თავი მეცამეტე ქუდის მსგავსი ქუთუკი 68

თავი მეთოთხმეტე კვლავ უცნაური ნაკვალევი 72

თავი მეთხუთმეტე გაფითრებული პიტერი და კოღინი 76

თავი მეთექვსმეტე დატყვევებულები 81

თავი მეჩვიდმეტე დაბრუნება ციხეში 86

თავი მეთვრამეტე პიტერი თავის ამბავს ჰყვება 90

თავი მეცხრამეტე სად არის მარგალიტები? 94

თავი მეოცე თავგადასავლის დასასრული 98

შეამოწმე, რამდენად კარგად გახსოვს „საიდუმლო შვიდეული“ 103

თავი პირველი

საიდუმლო შვიდეულის კრება

საიდუმლო შვიდეულის წევრები ჩვეულებად ქცეული ყოველკვირეული შეკრებისთვის ემზადებოდნენ. კრებას კვლავ ბაღის ბოლოში წამომართული პიტერისა და ჯანეტის ძველი ფარდული მასპინძლობდა. ფიცრულის კარზე მწვანედ შეღებილი ორი მოზრდილი ასო – ს. შ. შორიდანაც მკაფიოდ მოჩანდა.

მასპინძლები უკვე ფარდულში იყვნენ და ორგანიზაციის დანარჩენ წევრებს ელოდნენ. ლიმონათის მზადებაში გართული ჯანეტი წყლით სავსე მოზრდილ გრაფინში ლიმონს წურავდა. თეფშზე ჯანჯაფილის შვიდი ორცხობილა დაედო, იქვე, გვერდით კი – პურის მოზრდილი ნაჭერი ოქროსფერი სპანიელისთვის, ელვასთვის. ერთ ადგილას გაშეშებული ძაღლი თვალს არ აშორებდა თეფშს, თითქოს ეშინოდა, პურის ნაჭერი დაბლა არ გადმომხტარიყო და უგზო-უკვლოდ არ გაუჩინარებულიყო.

– აი, გამოჩნდნენ, – ფანჯრიდან გაიხედა პიტერმა, –

კოლინი, ჯორჯი, ბარბარა, პემი და ჯეკი მოდიან. ჩვენც აქ ვართ. ესე იგი, საიდუმლო შვიდეული შეკრებილია.

– ჰამ! – წამოიყეფა განაწყენებულმა ელვამ – მე რატომ გამომტოვეთო.

– მაპატიე, ელვა, მაგრამ შენ ორგანიზაციის წევრი არა ხარ, შენ, უბრალოდ, დამხმარე ხარ, თუმცა ძალიან კარგი დამხმარე, – დაუყვავა პიტერმა ძაღლს.

კაკ-კუკ! ვიღაცამ კარზე დააკაკუნა.

– პაროლი თქვით, თუ შეიძლება! – პიტერი არასდროს აღებდა კარს, თუ პაროლს არ ეტყოდნენ.

– კურდღლები! – დაიჩურჩულა კოლინმა და პიტერმაც კარი გააღო.

„კურდღლები!“ – რიგრიგობით იმეორებდნენ ორგანიზაციის წევრები და ფარდულში შედიოდნენ. თავის დაზღვევის მიზნით, საიდუმლო შვიდეულის წევრები ყოველ კვირა ცვლიდნენ პაროლს. ხომ შეიძლებოდა, შემთხვევით ვინმეს გაეგონა?!

თავიანთ ადგილებზე მოკალათებული ბავშვები პიტერმა გულდასმით აათვალიერ-ჩაათვალიერა.

– ჯეკ, სად არის შენი გულსაბნევი?

ჯეკი უხერხულად შეიშმუშნა და წამოიწყო:

– ძალიან ვწუხვარ, მგონი, სუზიმ მომპარა. ჩემი სამუშაო მაგიდის უჯრაში მქონდა დამალული. წამოსვლისას ვეძებე და ვეღარ ვიპოვე. სუზი ხანდახან საშინლად აბეზარია.

სუზი ჯეკის დაა, რომელსაც ძალიან უნდა საიდუმლო

ორგანიზაციის წევრი გახდეს, მაგრამ პიტერს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რომ სანამ ორგანიზაციას საიდუმლო შვიდეული ჰქვია, მასში მხოლოდ შვიდი წევრი უნდა იყოს.

– სუზიმ პასუხი უნდა აგოს, – თქვა პიტერმა, – ჯეკ, როგორმე უნდა დაიბრუნო გულსაბნევი. შემდეგში უჯრაში ან სადმე სხვაგან არ დამალო, უბრალოდ, ღამის პერანგზე მიიმაგრე და ისე დაიძინე. მაშინ ხომ ვეღარ მოგპარავს!

– გასაგებია, – ჯეკმა მეგობრებს თვალი გადაავლო. აინტერესებდა, ყველას ეკეთა თუ არა გულსაბნევი. ორგანიზაციის დანარჩენ წევრებს გულზე პატარა, მრგვალი გულსაბნევები მიემაგრებინათ, რომლებზეც ორი ასო – ს. შ. – გულდასმით იყო გამოყვანილი. ჯეკი კიდევ უფრო მეტად გაბრაზდა სუზიზე.

– ვინმეს რამე საინტერესო ხომ არა აქვს მოსაყოლი? – იკითხა პიტერმა, თან ჯანჯაფილის ორცხობილები ჩამოარიგა. ბოლოს ელვასაც გადაუგდო პურის ნაჭერი და ძაღლმაც მკვირცხლად დაიჭირა. ცოტა ხანში ფარდულში მხოლოდ ხრაშუნის ხმა ისმოდა.

სათქმელი არავის ჰქონდა. ბარბარამ პიტერს გადახედა:

– უკვე მეოთხე კვირაა, მოსაყოლი არაფერი გვაქვს. მოსაწყენი ხდება ჩვენი შეკრებები. აზრი არა აქვს საიდუმლო ორგანიზაციის არსებობას, თუკი რამე საინტერესო საქმეს არ გავხსნით ან თავგადასავალი არ გადაგვხდება.

– თუ ეგრეა, შენ თვითონ მოიფიქრე რამე, – სწრაფად გაეპასუხა პიტერი, – საიდუმლოებები და თავგადასავლები ხეებზე ხომ არ იზრდება?

ჯანეტმა ჭიქებში ლიმონათი ჩამოასხა:

– ნეტა რამე საინტერესო მოხდებოდეს! არ შეიძლება, ჩვენით მოვიფიქროთ თავგადასავალი?

– რას გულისხმობ? – დაინტერესდა კოლინი, – ოჰ, რა მჟავე ლიმონათია!

– ცოტა თაფლს კიდევ დავუმატებ, – ლოყები შეეფაკლა ჯანეტს, – მგონი, საინტერესო იქნება, თუ წითელი ინდიელების ფორმებში გამოვეწყობით და ხალხს უჩუმრად ავედევნებით. მე და პიტერს ამერიკელი ინდიელების სახალისო ტანსაცმელი გვაქვს.

ჯანეტის იდეა მოეწონათ. მცირეხნიანი გარჩევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ორგანიზაციის წევრებს ამერიკელი ინდიელების ექვსი ფორმა ჰქონდათ.

– რა გაეწყობა! მე ვიცი, რაც უნდა ვქნათ, – თქვა ბოლოს ჯორჯმა, – ფორმები ჩავიცვათ და პატარა ტევრში წავიდეთ. იქ ორ გუნდად გავიყოთ. ერთი გუნდი ტყის ერთ ბოლოში დაბანაკდება, მეორე კი – მეორე ბოლოში. ჩვენი მიზანი კოლინის დაჭერა იქნება, რომელიც ერთადერთია, ვისაც ფორმა არა აქვს. ვინც პირველი დაიჭერს, გამარჯვებაც მას დარჩება. მგონი კარგად გავერთობით.

– სულაც არ მინდა, ექვსივემ ჩემზე ინადიროთ, – არ მოეწონა იდეა კოლინს, – არ მიყვარს, როცა თავზე მახტებიან.

– ნუ სულელობ! – უთხრა ჯანეტმა, – ეს ხომ უბრალოდ თამაშია!

– მოიცა! მგონი, ვიღაც მოდის, – პიტერის სიტყვებზე

ყველა სმენად იქცა. ნაბიჯების ხმა სწორედ რომ ფარდულისკენ მომავალი ბილიკიდან ისმოდა. მალე კარზე უჩვეულო ბრახუნი გაისმა, რამაც ბავშვები წამოახტუნა.

– პაროლი! – პიტერს დავიწყებოდა, რომ ორგანიზაციის შვიდივე წევრი ფარდულში იყო.

– კურდღლები! – გაისმა გარედან პასუხი.

– ეს ხომ სუზია! – წამოიძახა გაბრაზებულმა ჯეკმა და კარი სწრაფად გამოაღო. ცხადია, ზღურბლზე ეშმაკურად მოღიმარი სუზი იდგა, თან გულზე საიდუმლო შვიდეულის გულსაბნევიც ეკეთა.

– მეც ორგანიზაციის წევრი ვარ! – ომახიანად დაიძახა სუზიმ, – პაროლიც ვიცი და გულსაბნევიც მაქვს.

გაბრაზებული ბავშვები ფეხზე წამოცვივდნენ. სუზიმ დრო არ დაკარგა და ბილიკზე მოკურცხლა, თან მხიარულად ხითხითებდა. ჯეკს ბრაზისგან სახე ასწითლებოდა: – დავედევნები და ჭკუას ვასწავლი. ახალი პაროლიც მოსაფიქრებელი გვაქვს.

– პაროლი იქნება „ინდიელები“, – მიაძახა პიტერმა დას ადევნებულ ჯეკს, – სამის ნახევარზე აქ იყავი!

თავი მეოხე

ინდიელების ნაშუადღევი

სამის ნახევრისთვის საიდუმლო შვიდეულის წევრები კვლავ შეიკრიბნენ დათქმულ ადგილას. ფარდულში პირველი ჯეკი მივიდა, რომელსაც სუზისთვის ჟეტონი წაერთმია და გულზე დაემაგრებინა.

– დავბრუნდები, კარს ბრახუნით ჩამოვიღებ და პაროლს ისე ხმამაღლა ვიყვირებ, რომ ყველამ გაიგოს, – დაემუქრა სუზი უფროს ძმას.

– სულ ტყუილად გაირჯები, – მშვიდად უპასუხა ჯეკმა, – უკვე ახალი პაროლი გვაქვს!

ორგანიზაციის წევრებმა პაროლის წარმოთქმისას დიდი სიფრთხილე გამოიჩინეს. ხომ შეიძლებოდა ჯიუტი სუზი სადმე ახლომახლო ყოფილიყო ჩასაფრებული?!

– ინდილები!

– ინდილები! – ჩურჩულებდნენ ბავშვები და ფარდულში უჩინარდებოდნენ. ინდიელების ტანსაცმლისა და აღჭურვილობის წამოღება არავის დავიწყებოდა. კოლინის გარდა

ყველამ მოირგო ფორმა. საიდუმლო შვიდეული ინდიელთა პატარა გუნდს დაემსგავსა.

– აბა, წინ პატარა ტევრისკენ! – მომცრო ნაჯახის ჰაერში ქნევით დაიყვირა პიტერმა. საბედნიეროდ, იარაღი ხისა იყო, – ჯანეტი და ჯეკი ჩემს მხარეს იქნებიან. ჯორჯ, შენ ბარბარა და პემი გეყოლება. აი, კოლინი კი ჩვენი სამიზნე იქნება – გაქცეულს პირველად ვინც შეიპყრობს, გამარჯვებაც მას დარჩება.

– ჩემი ხეზე მიბმა ან ისრების სროლა არ გაბედოთ! ეს თქვენთვის შეიძლება კარგი გასართობი იყოს, მაგრამ ჩემთვის – არა, შევთანხმდით? – მკაცრად გააფრთხილა კოლინმა მეგობრები.

ორგანიზაციის წევრებმა, კოლინის გარდა, სახეები უცნაური ორნამენტებით მოიხატეს. ჯეკი რეზინის დანას ხელში ათამაშებდა, შიგადაშიგ კი ელვას უღერებდა, თითქოს დარტყმას უპირებდა. ოჰ, მრისხანე ინდიელების როგორი გუნდი შეიკრიბა!

ბავშვები პატარა ტევრისკენ დაიძრნენ, რომელიც მინდვრებს იქით, მილტონების მამულის სახელით ცნობილი ადგილის გვერდით მდებარეობდა. მამულს ირგვლივ მაღალი გალავანი ერტყა.

– აბა, ისღა დაგვრჩენია, პატარა ტევრის ბოლოები გავინაწილოთ. აქ ჩვენ სამნი დავბანაკდებით. ჯორჯ, შენს სამეულს შეუძლია მეორე ბოლო დაიკავოს, კოლინი კი შუაში დარჩება. როცა მზად ვიქნებით, თვალებს დავხუჭავთ, ასამდე დავითვლით და კოლინზე ნადირობას დავიწყებთ.